

## წამახალისებელი გათამაშების წესები და პირობები

### „გადაიხადე Mastercard-ით და მიიღე შანსი მოიგო მანქანა ოჯახისთვის“

წამახალისებელი გათამაშების „გადაიხადე Mastercard-ით და მიიღე შანსი მოიგო მანქანა ოჯახისთვის“ (შემდგომში „გათამაშება“) ჩატარების წესები და პირობები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს მონაწილეობის, საპრიზო ფონდის და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად წესებს.

#### 1. გათამაშების დამკვეთი და ორგანიზატორი

**გათამაშების დამკვეთი:** Mastercard Europe SA (შემდგომში „დამკვეთი“), რეგისტრირებული მისამართი: ბელგია, ვოტერლო 1410, შოსე დე ტერვუვენ 198ა.

**გათამაშების ორგანიზატორი:** საერთაშორისო სარეკლამო კომპანია შპს „McCann Erickson“-ი (შემდგომში „ორგანიზატორი“), რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71, IV სართ. ს/კ 404882766. შპს „McCann Erickson“ არის Mastercard-ის (მასტერქარდის) ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში წამახალისებელი გათამაშების ორგანიზების მიზნით.

#### 2. გათამაშების მიზანი: გათამაშების მიზანია Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათების გამოყენების წახალისება და აღნიშნული ბარათებით POS ტერმინალებზე გადახდით ტრანზაქციების გაზრდა.

#### 3. გათამაშების ჩატარების ვადები:

გათამაშების პერიოდია 2018 წლის 07 ნოემბრის 00:00:01 საათიდან 2018 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის ჩათვლით (შემდგომში „გათამაშების პერიოდი“), ხოლო საბოლოო გათამაშების თარიღია 2019 წლის 22 იანვარი 13:00 საათი. შესაბამისად გათამაშების სრული პერიოდია 2018 წლის 07 ნოემბრის 00:00:01 საათიდან 2019 წლის 22 იანვრის 13:00 საათის ჩათვლით.

##### 3.1. გათამაშება ჩატარდება 4 ეტაპად:

3.1.1 პირველი შუალედური ეტაპი - 2018 წლის 07 ნოემბრიდან - 25 ნოემბრის ჩათვლით (გათამაშების ყოველი დღე 00:00 საათიდან 23:59 საათამდე)

3.1.2 მეორე შუალედური ეტაპი - 2018 წლის 26 ნოემბრიდან - 13 დეკემბრის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00 საათიდან 23:59 საათამდე)

3.2.3 მესამე შუალედური ეტაპი - 2018 წლის 14 დეკემბრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00 საათიდან 23:59 საათამდე)

3.2.4 მეოთხე ძირითადი ეტაპი - მთავარი გათამაშება - 2018 წლის 07 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00 საათიდან 23:59 საათამდე).

#### 4. გათამაშების ჩატარების ადგილი:

საქართველო, როგორც საქართველოში გაცემული Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათებით განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო ტრანზაქციების საბოლოო შედეგის დაფიქსირების ადგილი (საქართველოში გაცემული Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათებით მსოფლიოს ნებისმიერ სავაჭრო და მომსახურების ადგილებში გატარება/გამოყენების საბოლოო აღრიცხვიანობა ხდება საქართველოს შესაბამის საბანკო სისტემაში).

#### 5. გათამაშების მონაწილეობის მიღების უფლების მქონე პირები:

საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (შემდეგში „გათამაშების მონაწილე“) და ფლობს საქართველოში გაცემულ „Mastercard“-ის (მასტერქარდის), მათ შორის Debit® MasterCard, MasterCard®, Standard, Business, Gold Platinum, World, World Elite, ბარათ(ებ)ს (შემდეგში „ბარათი“) და გათამაშების პერიოდში განახორციელებს მინიმუმ 10 ლარის ტრანზაქციას საქართველოში გაცემული აღნიშნული ბარათ(ებ)ით POS ტერმინალებზე, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და სრულიად ეთანხმება გათამაშების წესებს და პირობებს. გათამაშებაში არ მონაწილეობს ონლაინ გადახდები და შესაბამისად წინამდებარე წესები არ ეხება ონლაინ გადახდებით მიღებულ ქვითრებს.

**6. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან**

- 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირები
- არა-რეზიდენტი პირები;
- აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება;
- იურიდიული პირები.

**7. გათამაშების საპრიზო ფონდი**

გათამაშების საპრიზო ფონდი შედგება:

პრიზი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამი
ავტომანქანა HONDA CIVIC Elegance	3	62,906.25 ლარი	188,718.75 ლარი
250 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი	75	312.5 ლარი	23,437.5 ლარი
Samsung Galaxy Note 9	15	3,212.5 ლარი	49,687.5 ლარი

საპრიზო ფონდი ჯამურად შეადგენს 261,843.75 ლარს, დარიცხული სახით.

- ✓ დაუშვებელია პრიზის შესაბამისი ფულადი საფასურის გაცემა და გამარჯვებულის მიერ სხვისთვის გადაცემა.
- ✓ ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი არ აგებს პასუხს გამარჯვებული პირის მიერ მიღებული საჩუქრის/პრიზის გამოუყენებლობაზე, ნებისმიერი პირადი მიზეზით.
- ✓ ორგანიზატორი და დამკვეთი პასუხს არ აგებს თუ მთავარი პრიზის მფლობელი დადგენილ ვადებში არ ისარგებლებს პრიზით. იმ შემთხვევაში, თუ მთავარი პრიზის მფლობელი დადგენილ ვადებში არ გამოიყენებს/მიიღებს პრიზს, ის გაუქმდება.
- ✓ ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი არ ანაზღაურებს პრიზების მიღება/გამოყენების რაიმე სხვა დამატებით ხარჯებს.
- ✓ პრიზები შეიძლება განსხვავდებოდეს სარეკლამო/საინფორმაციო მასალაზე ასახული გამოსახულებისაგან (განსხვავება ფერში, ზომაში ან სხვა დეტალებში).

**8. გათამაშების ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფა**

გათამაშების ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის ორგანიზატორი იყენებს ვებ-გვერდს [mastercard.com.ge/promo](http://mastercard.com.ge/promo) გათამაშების მონაწილეთა ინფორმირებისათვის Mastercard-ის (მასტერქარდის) ვებ-გვერდზე განთავსდება გათამაშების წესები და პირობები.

## **9. გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენის წესები და პირობები:**

პირველი სამი შუალედური ეტაპის გამარჯვებულების გამოვლენა:

- საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც საქართველოში გაცემული Mastercard-ის (მასტერქარდის) ნებისმიერი საკუთარი ბარათით განახორციელებს მინიმუმ 10 ლარის ტრანზაქციას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ POS ტერმინალებში 2018 წლის 07 ნოემბრის 00:00:01 საათიდან - 2018 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის ჩათვლით, მიიღებს გადახდის ქვითარს და აღნიშნულ ქვითარს ატვირთავს და გააქტიურებს (აქტიურდება მხოლოდ ის რეგისტრირებული ქვითრები, რომლებიც რეგისტრაციის წესების მიხედვით იქნება ატვირთული) გათამაშების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [mastercard.com.ge/promo](http://mastercard.com.ge/promo), ავტომატურად ხდება გათამაშების მონაწილე.
- ყოველ 10 ლარის და ზემოთ (მიუხედავად გადახდილი თანხის ოდენობისა) განხორციელებულ ერთ ტრანზაქციაზე მიღებული ქვითრის გააქტიურებისას გათამაშების მონაწილეს ენიჭება ერთი ბილეთი და პრიზის მოგების შანსი.
- გათამაშების პერიოდის განმავლობაში გააქტიურებული ქვითრების რაოდენობა და შესაბამისად ბილეთების რაოდენობა შეუზღუდავია.
- გათამაშების მონაწილეს მხოლოდ საკუთარი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების ქვითრები შეუძლია ატვირთოს გათამაშების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- სავალდებულოა გათამაშებაში მონაწილეობა წინამდებარე რეგლამენტისა და რეგისტრაციის წესების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში გათამაშების მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება გათამაშების ნებისმიერი ეტაპიდან.
- გათამაშების პირველი სამი შუალედურ ეტაპში გამარჯვება დაფუძნებულია გარანტირებულ მოგებაზე და დაკავშირებულია „გათამაშების მონაწილეთა“ აქტიურობაზე და მათ მიერ გააქტიურებული ქვითრების/ბილეთების რაოდენობაზე.
- გათამაშებაში ოფიციალურ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის შემდეგ თითოეულ მონაწილეს წვდომა ექნება როგორც საკუთარ მონაცემებზე, ასევე გათამაშების ზოგად რეიტინგზე: გათამაშების მონაწილის პირად გვერდზე მოცემულია ინფორმაცია მათ ბალანსზე გააქტიურებული ქვითრების და შესაბამისად ბილეთების რაოდენობის შესახებ, ხოლო გათამაშების ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე ასახულია ზოგადი რეიტინგი (პირველი ხუთი და 25-დან 30-ეს ჩათვლით ლიდერი ტრანზაქციათა რაოდენობის შესახებ). აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას აძლევს გათამაშების მონაწილეებს საკუთარი აქტივობის საფუძველზე შეძლონ მოხვდნენ ლიდერთა რიგებში და მიიღონ პრიზები.
- გათამაშების თითოეულ შუალედურ ეტაპს (პირველ შუალედურ ეტაპს, მეორე შუალედურ ეტაპსა და მესამე შუალედურ ეტაპს) ეყოლება 30 გამარჯვებული: 30 ყველაზე აქტიური გათამაშების მონაწილე, რომელმაც რიგითობის მიხედვით, ყველაზე მეტი ქვითარი გააქტიურა გათამაშების ვებ-გვერდზე: [mastercard.com.ge/promo](http://mastercard.com.ge/promo).
- ყოველი ეტაპის პირველი 5 (ხუთი) ყველაზე აქტიური მონაწილე რიგითობის მიხედვით, რომელმაც გათამაშების და რეგისტრაციის წესების შესაბამისად ყველაზე მეტი ქვითარი გააქტიურა მიიღებს ახალი თაობის სმარტფონს, ხოლო მომდევნო 25 (ოცდახუთი) ყველაზე აქტიური მონაწილე რიგითობის მიხედვით მიიღებს 250 ლარიან სასაჩუქრე ბარათს.
- ყოველი შუალედური ეტაპის დასრულების შემდეგ მოხდება რეიტინგის ლიდერ 30 მონაწილესთან დაკავშირება იმ სატელეფონო ნომერზე, რომელიც გათამაშების ვებ-გვერდზე რეგისტრაციისას დააფიქსირა გათამაშების მონაწილემ. სავალდებულოა სატელეფონო კავშირზე გამოსვლა, რათა მოხდეს ბარათის მონაცემებთან მონაწილის მიერ ატვირთული ქვითრების მონაცემების გადამოწმება. მხოლოდ მონაცემების (ბარათის ნომრისა და ქვითრის შესაბამისობა და იდენტიფიცირება გათამაშების მონაწილესთან)

დამთხვევის/დადასტურების შემთხვევაში იქნება გათამაშების ლიდერი მონაწილის გამარჯვებულად აღიარება. იმ შემთხვევაში თუ გათამაშების შუალედური ეტაპის ლიდერ 30 მონაწილეთაგან რომელიმეს მონაცემი არასწორი აღმოჩნდება (მაგალითად თუ დადგინდა, რომ გათამაშებაში გააქტიურებული ჰქონდა სხვისი Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების ქვითრები), ასეთი მონაწილე ეთიშება რეიტინგს და ავტომატურად რეიტინგში რიგით შემდეგი მონაწილე ხვდება ლიდერ 30 მონაწილეს შორის.

- პირველი სამი შუალედური ეტაპის მიმდინარეობისას სულ ჯამში გამოვლინდება 90 (ოთხმოცდაათი) გამარჯვებული.
- იმ შემთხვევაში, თუ გათამაშების მონაწილეებს ექნებათ ერთი და იგივე რაოდენობის გააქტიურებული ქვითრები, უპირატესობა მიენიჭება დროში უფრო ადრე გააქტიურებული ქვითრების მარეგისტრირებელ პირს.
- შუალედური ეტაპების რეიტინგები უქმდება თითოეული ეტაპის დასრულებისას. შუალედური ეტაპის გამარჯვებულებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ერთი ეტაპის პრიზები, ისინი არ მონაწილეობენ შემდეგი შუალედური ეტაპ(ებ)ის რეიტინგებში და განაგრძობენ გათამაშებაში მონაწილეობას მხოლოდ მეოთხე ეტაპის - მთავარი გათამაშებისთვის.

### **მეოთხე ეტაპი - მთავარი გათამაშება:**

- მთავარი გათამაშების გამარჯვებული გამოვლინდება 2019 წლის 22 იანვარს, 13:00 საათზე, დოლურას მეშვეობით, რომელშიც მოთავსდება გათამაშების სრული პერიოდის (2018 წლის 07 ნოემბრის 00:01 საათიდან 2018 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის) განმავლობაში გათამაშების მონაწილეთა მიერ გააქტიურებული ქვითრების (ერთი გააქტიურებული ქვითარი 1 ბილეთის ტოლფასია) გენერირების შედეგად მიღებული ბილეთები (თითოეულ რეგისტრირებულ და შემდგომ გააქტიურებულ ქვითარს ენიჭება უნიკალური კოდი, რომელიც დაიტანება გათამაშების ბილეთზე და რომლითაც იდენტიფიცირდება გათამაშების ბილეთი გათამაშების მონაწილესთან).
- დოლურადან, თანმიმდევრობით, შემთხვევითობის პრინციპით ამოღებული იქნება ბილეთები 3 გამარჯვებულის გამოსავლენად. თითოეული ბილეთის ამოღებისას მოხდება ბილეთის მფლობელთან სატელეფონო კავშირი და თუ გათამაშების მონაწილე არ/ვერ უპასუხებს ზარს 3 (სამი) მცდელობის შემდეგ - ასეთი ბილეთი უქმდება და დოლურადან ამოღებული იქნება შემდეგი ბილეთი. მთავარი გათამაშების გამარჯვებულად აღიარებისთვის გათამაშების მონაწილე ვალდებულია უპასუხოს სატელეფონო ზარს და მის მიერ დარეგისტრირებული ქვითრის იდენტიფიცირებისთვის კომისიის წევრს მიაწოდოს საკუთარი ბარათის ის მონაცემები, რომლითაც დადასტურდება მოგებახვედრილი გააქტიურებული ქვითრის (ბილეთის) და გათამაშებაში მონაწილე Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათის შესაბამისობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბილეთი გაუქმდება და დოლურადან ამოღებული იქნება შემდეგი ბილეთი. დოლურადან ამოღებული იქნება ბილეთები მანამ, სანამ არ გამოვლინდება 3 (სამი) გამარჯვებული - იბლლიანი მონაწილე, რომელიც პრიზის სახით მიიღებს -მთავარ პრიზს - 2018 წლის ავტომანქანა „Honda Civic Elegance“-ს.
- დოლურადან თითოეული ბილეთის ამოღებისას გათამაშების ორგანიზატორი დაურეკავს ბილეთის მფლობელს (3 მცდელობა) კომისიის წევრების თანდასწრებით.
- მთავარი გათამაშების სატელეფონო ზარების აუდიო ჩანაწერს უზრუნველყოფს გათამაშების ორგანიზატორი, კომისიის წევრების თანდასწრებით.
- პრიზების მისაღებად გამარჯვებულები უნდა გამოცხადნენ გათამაშებიდან 30 დღის განმავლობაში და სავალდებულოა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საკუთარი Mastercard-ის

(მასტერქარდის) ის ბარათ(ებ)ი, რომელთა გამოყენებითაც მიღებული ქვითრების რეგისტრაცია/გააქტიურება მოახდინეს გათამაშებაში.

## **10. გათამაშების დრო, ადგილი და კომისიის წევრები:**

10.1. პირველი სამი ეტაპის გამარჯვებულების გამოვლენის დრო:

- პირველი ეტაპის გამარჯვებულები გამოვლინდებიან - 2018 წლის 28 ნოემბერს 18:00 საათისთვის;
- მეორე ეტაპის გამარჯვებულები გამოვლინდებიან - 2018 წლის 18 დეკემბერს 18:00 საათისთვის;
- მესამე ეტაპის გამარჯვებულები გამოვლინდებიან - 2019 წლის 9 იანვრის 18:00 საათისთვის.

10.2. მთავარი გათამაშება:

- მთავარი გათამაშების გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება 2019 წლის 22 იანვარს, 13:00 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი. გამარჯვებულის გამოვლენას დაესწრება Mastercard-ის (მასტერქარდის) გათამაშების ორგანიზატორები და მესამე პირები (ორგანიზატორთან არა-ურთიერთდამოკიდებული პირი/პირები).
- დოლურადან ბილეთების ამოღება მოხდება თანმიმდევრობით, შემთხვევითობის პრინციპით, კომისიის წევრების თანდასწრებით.

## **11. მთავარი პრიზის გათამაშების ჩატარების მექანიკა:**

- საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში გაცემული საკუთარი Mastercard-ის (მასტერქარდის) ნებისმიერი ბარათით განახორციელებს მინიმუმ 10 ლარის ტრანზაქციას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ POS ტერმინალებში 2018 წლის 07 ნოემბრის 00:00:01 საათიდან - 2018 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის ჩათვლით, მიიღებს გადახდის ქვითარს, დარეგისტრირდება გათამაშების ვებ-გვერდზე: [mastercard.com.ge/promo](http://mastercard.com.ge/promo) და გააქტიურებს აღნიშნულ ქვითარს, ხდება გათამაშების მონაწილე. გათამაშების პერიოდის განმავლობაში ტრანზაქციათა რაოდენობა და გააქტიურებულ ქვითართა რაოდენობა შეუზღუდავია და დამოკიდებულია „გათამაშების მონაწილეთა“ აქტიურობაზე.
- 10 ლარზე ზემოთ POS ტერმინალებში განხორციელებულ ტრანზაქციაზე მიღებული ქვითრის რეგისტრაციისას ყოველ გააქტიურებულ ქვითარზე გათამაშების მონაწილეს ენიჭება ერთი ბილეთი და პრიზის მოგების შანსი.
- POS ტერმინალებით გადახდისას მიღებული ქვითრების ატვირთვის წესი მოცემულია ვებ გვერდზე: [mastercard.com.ge/promo](http://mastercard.com.ge/promo). თითოეული რეგისტრირებული ქვითარი უნდა გააქტიურდეს და მიენიჭოს უნიკალური კოდი, რომლის მეშვეობითაც იდენტიფიცირდება გათამაშების ბილეთი.
- გათამაშების მონაწილეს შეუძლია გამოიყენოს საკუთარ სახელზე რიცხული ნებისმიერი რაოდენობის Mastercard-ის (მასტერქარდის) ბრენდის ნებისმიერი ბარათი.
- ✓ სულ დაიბეჭდება 1 000 000 (ერთი მილიონი) ცალი ბილეთი, ნუმერაციით 0 000 001-დან 1 000 000-ის ჩათვლით. წამახალისებელი გათამაშების ნებართვის პირობების (რეგლამენტის) შესაბამისად, გათამაშების აქტივობის მიხედვით, მოხდება გათამაშების ბილეთების დაშვადება, ხოლო გათამაშების მიმდინარეობის შესაბამისად, საჭიროებისამებრ გაიზრდება დასაბეჭდი ბილეთების რაოდენობა იმ ოდენობამდე, რა ოდენობის ტრანზაქციაც განხორციელდება გათამაშების სრული პერიოდის განმავლობაში. ბილეთების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ორგანიზატორი აცნობებს სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

- დოლურადან ამოღებული გამარჯვებულად აღიარებული ბილეთის მფლობელი (სულ ჯამში 3 გამარჯვებული) მიიღებს მთავარ პრიზს: ავტომანქანა „Honda Civic Elegance“ (2018 წლის).
- გამარჯვებული უნდა გამოცხადდეს პრიზის მისაღებად გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საკუთარი Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათით, რომლის გამოყენებითაც მიიღო მოგება-ხვედრილი ბილეთის შესაბამისი ქვითარი. გამარჯვებულზე პრიზის გადაცემა მოხდება არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.
- გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. გათამაშების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა შეგროვება-დამუშავებაზე პასუხისმგებელია MasterCard Europe SA, Chaussee de Tervuren 198A, 1410 Waterloo, Belgium.
- გათამაშების მონაწილის პირადი ინფორმაცია: სახელი, გვარი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი, გამოყენებული იქნება მხოლოდ გათამაშების მიზნებისთვის და წაიშლება გათამაშების დასრულებიდან 3 თვის შემდეგ.

**12. გათამაშებაში მონაწილეობას არ იღებს:**

- ✓ უნაღდო (POS ტერმინალებით) ანგარიშსწორების შედეგად 2018 წლის 07 ნოემბრის 00:00:01-საათამდე და 2018 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის შემდეგ მიღებული ქვითრები;
- ✓ ონლაინ გადახდები;
- ✓ ნებისმიერი სახის უკანონო ტრანზაქციები.

\* ანულირებას/გაუქმებას ექვემდებარება სხვისი კუთვნილი Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათების ტრანზაქციებით მიღებული ქვითრები.

**13. ზოგადი დებულებები**

- ✓ გათამაშების გამარჯვებული მონაწილეები პრიზის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71 მე-4 სართული ოფისი 26, გათამაშების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრიზები არ გაიცემა და გათამაშების გამარჯვებულს არავითარი პრეტენზიის გაცხადება არ შეეძლება ვადა-გადაცილებით პრიზის მიღების მოთხოვნით.
- ✓ გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემა პირადობის მოწმობის და გათამაშებაში მონაწილე საკუთარი Mastercard-ის (მასტერქარდის) ბარათ(ებ)ის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 6 კალენდარული დღის ვადაში.
- ✓ პრიზების მიღებით (საკუთარი პირადობის მოწმობის წარდგენით) გამარჯვებულები თანხმობას უცხადებენ ორგანიზატორს, რომ გამარჯვებულების ფოტო-ვიდეო მასალა გამოყენებული იქნება ნებისმიერი სახის სარეკლამო მიზნებისათვის, ნებისმიერ მედია და სოციალურ არხზე გამოსაყენებლად, დამატებითი წერილობითი თანხმობით.
- ✓ გათამაშებასთან დაკავშირებული პრეტენზია განიხილება გათამაშების დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71 მე-4 სართული ოფისი 26.
- ✓ გამოვლენილი გამარჯვებულების შესახებ ინფორმაცია დაიდება გათამაშების ვებ-გვერდზე: [mastercard.com.ge/promo](http://mastercard.com.ge/promo) (გამარჯვებულის სახლისა და გვარის მითითებით).